ცნობის ფურცელი

№ 2106 ორშაბათი, 24 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2106

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ანჩის ხატის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 44—6. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 25 მარტს, 1903 წ.

◆ ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად

I

მედეია

დრამა 4 მოქმ. სუვორინისა და ბურენინისა, თარგმ. დ. მესხის მიერ

II

ქლიავი

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ. ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სციმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად აღდგომისათვის: „იანიჩარი“, „ოტელო“, „ჩატეხილი ხიდი“, „ორი ობოლი“. რეჟისორი ვ. გუნია

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ზუბალაშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ა. ი. ბოჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღნინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ბ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ზ. მაღლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოლიძე.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელიშვილი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

დ. ა. ზედგინიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: ყოველთვის 10—12.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხოჯაოლიშვილი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. მაღლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (შიგნით-ქიმიური და მიკროსკოპიული გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი ბ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოში აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21. (ეგზარხოსის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ლორის-მელიქოვის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და სახალხო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

აპრილის 2-ს, ოთხშაბათს, საღამოს 8 საათზე, ამხანაგობის სადგომში (ვანქის ქუჩაზე) დანიშნულია

ამხანაგობის წევრთა

საზოგადო კრება

(ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 28 თებერვალს არ შესდგა).

განსახილველია:

1) ანგარიშები წარსულის წლებისა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა; 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

კრებას დაესწრებიან მხოლოდ სრული წევრნი ამხანაგობისა (3—1)

ახალი ამბავი

◆ პარიზიდან დეპეშით გვწერენ: გულითა ვგლოვობთ ჩვენის მგოსნის გრიგოლ აბაშიძის უდროვოდ გარდაცვალებას.—პარიზის ქართველობა.

◆ როგორც ქალაქის, ისე სოფლის აფთიაქებს უფლება არა აქვთ, თუ არ ექიმის რეცეპტით, გაჰყიდონ ეგრედ წოდებული სახარინი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტს გაუგია, რომ ბევრ აფთიაქში ურეცეპტოდაც ჰყიდიან სახარინს. ამ გარემოებით ჰსარგებლობენ ზოგიერთი ვაჭრები, რომელნიც სახარინს ტკბილეულობისა და სხვა და-სხვა სასმელ წყლების მოსამზადებლად ხმარობენ. ასეთი ტკბილეულობა და წყლები მავნებელია, ბევრჯერ კაციც მოწამლულა. ამის გამო სამკურნალო დეპარტამენტს შეუმუშავებია სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც აფთიაქების პატრონებს უფლება არა აქვთ, აფთიაქებში 100 გრამზე მეტი სახარინი შეინახონ და უეჭველად რეცეპტით უნდა გაჰყიდონ. როცა აფთიაქში ეს ნივთიერება შემოელევათ, უნდა ხელ ახლა ნება-რთვა მიიღონ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობისაგან. სამკურნალო დეპარტამენტის განკარგულების თანახმად, ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ ამის შესახებ მიწერილობა გაუგზავნა აფთიაქების პატრონებს.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭო, დღევანდელს კრებაზე დარჩენილ საქმეებს გარდა, განიხილავს, სხვათა შორის, შემდეგ ახალ საქმეებს: მოხსენება ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევის შესახებ; მოხსენება გამგეობისა ავლაბარში მამაკაცთათვის დროებით ვენერიულ საავადმყოფოს გამართვის შესახებ და სხვ.

◆ ხვალ, 25 მარტს, ტფილისიდან ზემო ავჭალაში გასასეირნებლად მიემგზავრებიან ტფილისის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლენი.

◆ დღეისთვის დანიშნულია კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა. სხვათა შორის კრებამ უნდა განიხილოს 1903 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე სურამის მომრიგებელ მოსამართლის მდივნად ნამყოფის გ. ი. ხუციშვილისა, რომელსაც ჰბრალდება მაისურაძისაგან 200 მან. მიღება და, როგორც ქრთამისა, მომრიგებელ მოსამართლესათვის გადაცემა. ხუციშვილს ჰბრალდებოდა პირველ ბრალდების საქმის მოპარვა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიის განცხადებიდან გორში და იმისი მოსპობა. პალატამ ხუციშვილი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1½ წლით გაგზავნა. ხუციშვილმა პალატის გარდაწყვეტილება გაასაჩივრა სენატში, რომელმაც ხუციშვილის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

◆ ამ სამის დღის წინად სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სენაკის მაზრის სოფ. ნოსირის მცხოვრებისა სოლომონ სახოკიასი, რომელსაც საბუთის ქაღალდების მოსპობა ჰბრალდებოდა. სახოკიასთვის ჩაუბარებიათ სამი ტუსაღი: სპირიდონ და სენთი კანდელაკები და შელიგია გაბუნია, რომელნიც მიწერილებასთან ერთად უნდა წარედგინა აბაშის ბოქაულისთვის. სახოკიას ტუსაღები გაუნთავისუფლებია და მიწერილობა დაუხევია. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ამ დანაშაულობისთვის სახოკიას გარდაუწყვეტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და 6 თვით დაპატიმრება. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, მხოლოდ უფლების ჩამოურთმევლად.

◆ 20 მარტს სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა განაჩენი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი, რომლითაც სოფ. მუხაყრუას მცხოვრებს ანთიმოს ყუბანეიშვილს და სოფ. პალადის მცხოვრებს პავლე კვირკველიასა გადაწყვეტილი ჰქონდათ ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში თითო წლით გაგზავნა. ყუბანეიშვილსა და კვირკველიას 1900 წელს გაუტეხიათ დუქანი კარატაევისა და 150 მან. ნივთები წაუღიათ.

◆ შაბათს, 22 მარტს, სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა საქმე დეკანოზის ტურიაშვილისა და ნატალია ვორობცოვისა. ვორობცოვისას ჰბრალდებოდა ქმრის სიცოცხლის დროს მეორედ გათხოვება, ხოლო ტურიაშვილს ჯვარის დაწერა. რადგან დეკანოზმა ტურიაშვილმა სთხოვა პალატას საქმის გადადება, პალატამ დაადგინა ეს საქმე სხვა დროს განიხილოს.

წერილი სიღნაღიდან

ქურდები.—საკრებულოს მამასახლისთა არჩევანი

„რაც გინახავს, ვეღარ ჰნახავ“-ო, შეგვიძლია ვუკიჟინოთ სიღნაღს. თუმცა ქალაქი სიღნაღი სწავლა-განათლებით დაბეჩავებულია და ბევრ სოფელზედაც ჩამორჩენილი, მაგრამ ამაზე მშვიდი, წყნარი, უქურდო და უდავიდარაბო ქალაქი სხვა ბევრი არ გვეგულება. წლევანდლამდე ძალიან სიმშვიდე და უშიშრობა ჰსუფევდა, ახლა-კი ცოტა არ იყოს, ბოროტ-მოქმედებამ აქაც თავი ამოჰყო და ისე სისწრაფით თუ იარა, როგორც დაიწყო, სხვასაც გაასწრობს წინ. ერთ კვირაში ორი ქურდობა მოხდა. ერთგან ღამე ცხენი მოიპარეს, რომელიც ჯერაც ვერ ამოუჩენიათ და ვერც ქურდისთვის მიუგნიათ, მეორე ადგას-კი დუქანი გასტეხეს და, რაც შიგ მოასწრეს, სულ მთლად წაიღეს; მხოლოდ ამ ქურდს ბნელა ღამე მალე გაუთენდა, მალე გაება მახეში და მთელი მონაპარი თავისისავე ხელით უკან მოატანინეს. დუქანში პატარა ბიჭსა სძინებია, რომელსაც უგრძნია ქურდი. ქურდს გაუფრთხილებია, ხმა არ ამოიღო, არ დაიძახო, თორემ მოგკლავო. თვით დუქნის პატრონისათვისაც რადაც წინაგრძნობას უთქვამს და ეჭვი თავისს მეზობელზე მიუტანია, რომელთანაც საღამოთი ერთად უქეიფნია, სახლშიც ერთად დაბრუნებულან, მაგრამ მალე კი შეუნიშნავს, რომ სახლიდან ეს მისი ამფსონი მალე სადღაც წასულა. კაიკო თუ არა დილა ადრიან დუქნის გაძარცვა, მაშინათვე ამ მეზობელს მიაშურა თურმე და, რაკი შინ ვერა ჰნახა, პოლიციის დახმარებით დაუწყო ძებნა. მალე იპოვნა ქურდიც და დანაკარგი საქონელიც, რომელიც ქურდმა თავის უსირცხვილო პირით თითონვე მოიტანა—ემცნევა, ჯერ ვერა უთვიდა გაემცნო, რომ ასე მალე მოჰყვა კაკანათს.

16 მარტს სიღნაღის საკრებულო დარბაზში (კლუბში) შეიყარნენ განახლებულ საკრებულოს წევრნი მამასახლისების ასარჩევად. განახლებულ-მეთქი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამ საკრებულოს კარგა ხანია შემოსწყრნენ და შემოეყვანენ სწორედ ის წევრნი, ვისთვისაც არსებობს ხალხმე ამისთანა დაწესებულება. წელს, როგორც იყო, თავი მოიყარეს. ადიშურგნენ კენჭებით და გაჩნდა გათეთრება-გაშავება. მართალია, ვიდრე ომი დაიწყებოდა, ბევრმა ორატორმა წამოშალა ხელის ხელ საკოგმანებელი მარგალიტები, მოხსნეს მშვენიერ-მეტყველების გუდის პირი და ამტკიცებდნენ: მიუდგომლად უნდა მოვიქცეთ, არ მივხედოთ არც დიდსა და თბილ ადგილს, არც დიდ ჯამაგირს და ამოვარჩიოთ მამასახლისებად ისინი, ვინც ჩვენი დაწესებულებისათვის საჭიროანი და სასარგებლონი არიან. მაგრამ მშვენიერ-მეტყველების ტყვია-წამალი ტყუილად დაიხარჯა და ძველის ტრადიციის მიხედვით ისევ დიდის თანამდებობისა და ჯამაგირების მიმდევნი გათეთრდნენ და არც ერთი „ორატორი“ არ მოჰყვა მამასახლისად.

ბუდამე

წერილი პირიქითა თუშეთიდან

ხალხის უსწავლებლობა და დამშევა მოუსავლობის გამო

არა მგონია, რომელიმე კუთხე იყოს ისე ჩამორჩენილი, როგორც ჩვენი თუშეთი. უმთავრესი მიზეზი უმშეობა და ზამთარ-ზაფხულ მთაში ცხოვრებაა, სადაც ორიოდ-სამიოდე თვის გარდა მუდამ თოვლი და ყინულია. აქ ზამთარში შეუძლებელია ერთი სოფლიდან მეორეში წასვლა დიდის თოვლისა და ყინვის გამო. ყოველაფერს მოკლებულია თუშეთი. ზამთარში ექვსი შვიდი თვეა გზები შეკრულია. მღვდელიც კი ვეღარ მიჰყავთ ერთი სოფლიდან მეორეში ზიარების მისაღებად, ან მიცვალებულის დასაკრძალავად. სწავლა-განათლებისა ხომ ხსენებაც არ არის ჩვენში. თუმცა ბევრია სწავლის მსურველი და მასთან ნიჭიერიც, მაგრამ ხელს უშლის ასეთი მდგომარეობა: იმათ ვინა შეძლებაც არა აქვთ, სხვაგან გაჰგზავნონ და აღზარდონ შვილები. იმდენს ძლივს შოულობენ, რომ წლითი-წლობამდე ცოდ-შიმილი არჩინონ, გადასახადები და წვრილმანი ხარჯები მოიშორონ. რა თქმა, უნდა სწავლაც თითქმის შეუძლებელია აქ ზამთრობით. ან კი ვინ იქნება ისეთი თავზე ხელ-აღებული, ზამთარში აქ დარჩეს მასწავლებლად! თუნდაც დარჩეს, რა უნდა გააკეთოს: ზოგჯერ სახლიდან გარედ გამოსვლაც კი უჭირდებათ.

აქამდის ძილში მყოფ მთამ გამოიღვიძა. შეიგნეს სწავლის მნიშვნელობა და ეხლა ცდილობენ როგორმე მოიპოვონ იგი. ეს სამი წელიწადია პირ-აქეთ, ქვემო ალვანში, დააარსეს ერთ-კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ რა გამოვიდა: მომეტებული ხალხი პირ იქით-ცხოვრობს ზამთარ-ზაფხულ! ამ სკოლაზე უარი განაცხადა ორმა საზოგადოებამ, რადგანაც მთაში აქვთ მუდმივი ცხოვრება. ხელ-მიუწდომელი იყო იმათთვის სკოლაში სწავლა ეხლა ადარ იციან, რა ქმნან. კარგი იქმნება ვინმემ ყურადღება მიაქციოს ამ მთის თემებს და ზაფხულობით მაინც დააწესონ ბავშვებს სწავლა თუშეთში.

„თავად არ იყო ძმარით, ზედ დაასხეს წყალი“-ო, ჩვენც სწორედ ისე მოგვივიდა. ჯერ ვერავერა პირი ჰქონდა 1902 წლის მოსავალს და მერე, როცა მოსამკელად შემოვიდა ყანები, იმ დროს დასთოვა და სულ მიწას გაასწორა ჭირნახული. პურისა და ქერის ფასმა მეტად აიწია. ადგილობრივ კოდი პური 6 მ. ფასობდა. ქერი და სიმინდი 4 მ. 50 კ. ფასს ვინა სჩიოდა, რომ ფულით მაინც იშოვებოდეს: სულ კახეთიდან და ქისტეთიდან მოაქვთ ცხენებით. თოვლი პირველი არ არის თუშეთში. იშვიათად გაივლის ისე წელიწადი, რომ სიცივემ და ყინვამ არ დააზიანოს მიწის მთელი მოსავალი. ასეთი უმოსავლობა და შიმშილი, რასაკვირველია, დიდ შეწუხებას გამოიწვევს თუშეთში და ეხლავე დააბრუნებს ცხოვრების ჩარხს.

იაკობ ს. ბიძურმელი

წერილი რაჭიდან

წლევანდელ ცუდ ზამთარს ცუდი შედეგი ექმნება

რაჭველებს წასულის წლიდგან წლისაც შიმშილიანი წელიწადი გვქონის. 1896 წ. აქეთ ასე ცუდი ზამთარი არ უთენდა ჩვენკენ. წასულის წლის გიორგობისთვის შემდეგ სულ გამუდმებით სთოვს, ერთი მზიანი დღე ადარ გვინახავს. აგერ მარტია ამ წერილს რომ ვწერ, მაგრამ ჯერ ბარად სოფლებში თოვლი გაუწმენდელია, მთა სოფლებში ხომ ერთი საჟენი თოვლი სძევს. მუშა ხალხი ხელ-გულ დაკრეფილი ზის სახლში და გარედ ვერ გამოდის. ყველგან შიმშილი, წუხილი და ათასი უბედურება კუდს უჭერს მუშა ხალხს. ერთმა გლეხმა შემომჩივლა, შარშანდელ მოსავლელ სიმინდს, არ მგონია, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორები" შესწავმდნენ და ჩემმა ბავშვებმა ისე გაათავეს, რაც კი მომივიდა, რომ დღეს მარცვალიც აღარ გამაჩნია და დამის არის შიმშილით გამოწყდეს ცოლშვილით. სასოწარკვეთილი მუშა ეკითხება თავის თავს, როდის უნდა ვეღირსოთ გაზაფხულს, როდი დაიწყება მუშაობა? დღისით ქარმა და ღამით ყინვამ ქვასავით გაამაგრა თოვლი და ათასში ერთხელ მზემაც რომ დაჰხედოს, ველარას აკლებს ქვასავით გამაგრებულ თოვლს. ასეთი დიდი თოვლი, ძალიანი, აპრილის შუა რიცხვებამდისაც თუ მოგვშორდა. როცა თოვლი დადნება, მუშამ ჯერ ვენახი უნდა გასხლას, მოსაროს, დათოხნოს და დაბაროს; ვენახის მუშაობა ერთმანეთზე რომ გაანგარიშოთ ბევრისა და ცოტას პატრონი 20 დღეს მაინც მოუნდება. დადგება მაისი თუ არა, უნდა მოსდგნენ სიმინდის თესვას და ვენახების წამლობას, შაბიამანით მოსხურებას. ერთის სიტყვით, წრეგანდელი ადგის თავი ერთმანეთში აირ-დაირევა. მაისში დათესილი სიმინდები ძალიან ძვირად ივარგებს ხოლმე; როგორც მთა ადგილას, რაჭაში ადრე მოდის რთველი.

რაჭაში ყოველ წელს უქმობენ ნაადგომევის გავლით სამ ხუთშაბათს, ელიობად წოდებულს; აგრეთვე არ შეიძლება აქეთ მიწა იმუშაონ პარასკევობით. რადგან პარასკევს იესო ქრისტე დაასაფლავეს, ამ დღეს მიწის მუშაობა ცოდვად მიაჩნიათ. ვურჩევ რაჭველებს, ეს დღეები, რომლის უქმობის დროსაც დიდი თავსეხლობა იქმნება, მიატოვონ წელს მაინც. განო ჭიჭინაძე

დაბა-სოფლები

ვახანი (იმერეთი). წლევანდელმა დიდმა თოვლმა ყველას გაუჭირვა საქმე, მაგრამ ისე არავის არ გასჭირვებია, როგორც აქაურ მცხოვრებთ. ჩვენი სოფელი მთა ადგილზეა და საზოგადოდ აქ, სხვა სოფლებთან შედარებით, დიდი თოვლი იცის და, რასა თქმა უნდა, წელს ბარის სოფლებში რომ არშინზე მეტი იყო თოვლი, აქ საჟენზე ავიდა. მცხოვრებნი ძალიან უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნენ შეშობისა და საქონლის საკვების უქონლობით და უფულობით. ხალხი კიდეც გამოიბრუნებდა სულს, რომ ზამთარს ბოლო მოეღებოდა, მაგრამ ეხლაც არშინზე სძევს თოვლი და ისეა გამაგრებული და გაყინული, რომ კარგი იქმნება თუ 15 აპრილამდის მიწის პირი გამოჩნდა და ხვნა-თესვა შესაძლებელი გახდა. მოშეტებულს სახნავი მიწები აქვს ვახანის მთებში, სადაც თოვლი წელს მაისამდე არ დადნება. ამ გარემოებას უნდა დავუმატოთ ღვინის და სიმინდის მოუსავლობა შარშან და თავად გ. ამირეჯიბის მიერ ვახანის მთაში გაკეთებულ გზების და ბოგირების წახდენა, რომლის საშუალებითაც ვახანელებს გაჰქონდათ გასასყიდათ მარელისში ტყის მასალა და შეშა. მცხოვრებლებმა აღარ იციან, ან ვენახი როდის გასხლან, ან ხვნა-თესვა როდის დაიწყონ.

ა. აბ—მე

სამტრედია (იმერეთი). მკითხველს, უეჭველია, ეცოდინება, რომ წარსულ წელს დაარსდა სამტრედიაში აბრეშუმის სადებ-სახვევი ქარხანა ილიონისა. ამ ჟამად ქარხანაში 250-მდე ქალები მუშაობს. მომუშავე ქალები უმეტეს ნაწილად გურიისა, სამეგრელოსა და სხვა ადგილებიდან არიან. პირველად დიდი სახელი გავარდა ხალხში ხსენებულს ქარხანას, რის გამო დიდი და პატარა, ყველა იქ მიისწრაფებოდა სამუშაოდ; მაგრამ ეხლა, როგორც ვატყობთ, სახელი უტყდება. მერე თუ, რაც ქარხანაში მუშაობა დაიწყეს და ამ დროს განმავლობაში ოცამდის ქალი დაშავდა, ზოგს ხელი გაუფუჭდა და რაღაც ნაირ ქარებით დაავადმყოფდა. ამას გარდა დადგა თუ არა მარტი და ჰაერი გათბა, ავადმყოფობამაც იჩინა თავი: დღე არ გავალის ისე, რომ ორი ან სამი ქალი არ ბრუნდებოდეს ცხელას კანკალით თავის ბინაზე ავადმყოფობის გამო· ორ იმდენს, რასაც ქარხანაში იღებენ, წამლობაში ჰხარჯავენ. მართალია, ქარხნის ზედამხედველი ცოტაოდენ შემწეობას აძლევს ავადმყოფთ წამლით (იმათ, რომელნიც იქვე რჩებიან), მაგრამ საავადმყოფო არ აქვთ და შემწეობაც უმნიშვნელოა. ავადმყოფნი ისევ თავიანთ მშობლებთან მიდიან, სადაც კარგის მოვლითა და სუფთა ჰაერით ჰფიქრობენ, ოდესმე დაიბრუნონ დაკარგული ჯანმრთელობას.

სამტრედიელი

ბიბლიოგრაფია

„Медико-топографическое описаніе Закатальскаго округа". И. С. Эліашвили

ჩვენ გადავიკითხეთ ექიმის ივანე ელიაშვილის „Медико-топографическое описаніе Закатальскаго округа". რომელსამე მხარეს ამ გვარი აღწერილობა ხშირად უფრო ვიწრო წრეს მკითხველებისას ჰპოულობს, რადგან იგი დანიშნულია ქალაქის ექიმთა საზოგადოების საყურადღებოდ, რიცხვი-კი ამ საზოგადოების წევრთა არც ისე დიდია. ამისათვის არ იქმნება ცუდი, თუ ჩვენი ექიმები თვისის მოსაზრების დაკვირვებას საზოგადოებას საზოგადო ბეჭდვითი სიტყვით გაუზიარებენ. ეს მოსაზრება აღგვიძრა ჩვენ ბ. ივ. ელიაშვილის აღწერამ ზაქათალის მხარისა, რომლის სვე-ბედი ასე მჭიდროდ ყოფილა შეკავშირებული საქართველოსთან, მაგრამ ამ მხარეს მწარე თავგადასავალს ისეთი ღრმა ცვლილება მოუხდენია მცხოვრებთა ფიზიკურსა და სულიერს განწყობილებაზე, რომ ზაქათალის მცხოვრებლები ძლიერ დაშორებულან ზნე-ჩვეულებებით ქართველობას. ჩვენთვის დიდად საყურადღებოა ვიცოდეთ ყოველი ჩვენი კუთხის დღევანდელი ვითარება და ამ მხრივ უმჯობესია უფრო მეტის ცოდნით აღჭურვილმა ქართველმა გააცნოს ჩვენს საზოგადოებასაც ამა თუ იმ კუთხის დღევანდელი ვითარება, რადგან უბრალო კორესპონდენტისა და მცოდნე კაცის დაკვირვება შინაარსით საკმარისად განირჩევიან ერთი მეორისაგან. ამ ნაკლის აცილება ადვილია, ჩვენი ექიმების შრომას კი მეტი მნიშვნელობა ექმნება და მეტს მკითხველსაც მოიპოვებს.

მ. ფ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი

ლონდონი. კარაკასიდან იტყობინებიან, რომ ვენეცუელის სენატმა დაავალა მთავრობას აიღოს ერთი ან რამდენიმე სესხი და ამ გზით იშოვოს შინაგანისა და გარეშე სესხების კონვერსიისათვის საჭირო ფული.

ლისაბონი. მეფე ედუარდმა მიიღო დიპლომატთა კორპუსი და ორთავე პალატის დეპუტაციები, რომელთაც მეფეს ადრესები მიართვეს; ადრესებში პალატები ქებით იხსენიებენ მეფის ჩამოსვლასა და აღნიშნავენ, რომ ეს საბუთია ორსავე მოკავშირე ერებს შორის მეგობრობის განმტკიცებისა. მეფემ უპასუხა, რომ პორტუგალიისა და ინგლისის კავშირს საგნად აქვს მშვიდობიანობის დაცვა; ბოლოს მეფემ მადლობა გადაუხადა კარგად მიღებისათვის.

პორტ-მავრიციო. წარსულ ღამეს მსუბუქი მიწის-ძვრა მოხდა.

რომი. „ტრიბუნა" იტყობინება, რომ ინგლისის მეფე 14 აპრილს მოვა ნეაპოლს და იმავე დღეს რომს გაემგზავრება, ხოლო 16 ს ზემო იტალიას წავა. თავისის მოგზაურობით მეფეს ჰსურს პატივისცემა და მეგობრობა გამოუცხადოს იტალიის მეფე-დედოფალსა და იტალიას.

ხარკოვი. გამოცხადდა სასამართლოს დადგენილება საბანკო საქმის გამო: ლიუბარსკის, ორლოვს, ჟურავლევს, გოლოვს, ლისოგორენკოს, იურკევიჩს, ალჩევსკის, აბრამოვს, კუკსინს, ავილოვსა და სუხანოვს მიესაჯათ განსაკუთრებულ უფლებათა და უპირატესობათა ჩამოხდა და დაპატიმრება—ლიუბარსკისა და ორლოვს სამ-სამის წლით, აბრამოვს—ორის წლით, ალჩევსკისა და ლისოგორენკოს 1½ წლიწადი თითოეულს; ჟურავლევს, გოლოვს, იურკევიჩს, კუკსინსა და ავილოვს—თითო წლით, სუხანოვს—3½ წელიწადი; ხოლო არაკინი და ტემნიცკი გამართლებულ იქმნენ.

პარიზი. დეპუტატმა ბერრიმ აცნობა დელკასსეს: რადგან მაკედონიაში საქმეები ცუდად მიდის, მე დავეკითხები მთავრობას ნუ-თუ მთავრობა აპირებს გულ-გრილად უყუროს აღმოსავლეთში ქრისტიანთა ამოჟლეტას?

23 მარტი.

ლონდონი. „ტაიმს"-ი იტყობინება, რომ მეფე ედუარდი მარსელით პარიზს მივა და 4 ან 5 დღე დარჩება იქ.

ბელგრადი. გარეშე საქმეთა მინისტრის ლოზანოვიჩის სამსახურიდან დათხოვნის სათხოვარი მიიღეს.

კოპენჰაგენი. მეფემ რამდენჯერმე სთხოვა და იმპერატორი ვილჰელმიც დაჰყაბულდა კიდევ 24 საათი დარჩენილიყო, ე. ი. დღეს სადამომდე აღარ მიდის აქედან.

— კრონპრინცმა და კრონპრინცესამ იმპერატორის ვილჰელმის პატივსაცემლად სადილი გაჰმართეს. 400 კაცი მიწვეული იყო ამ სადილზე.

— იმპერატორმა უბოძა პრინც კარლ-ჰარალდ დანიისას ორდენი შავი არწივისა.

კონსტანტინეპოლი. ალბანიაში უსკიუბის ოლქი 33-მა ბატალიონმა დაიჭირა. დამამტკიცებელი საბუთები აღმოაჩინეს იმისა, რომ ხიდის ასაფეთქებლად დინამიტი საზღვარ გარეთიდან ბოლგარიით მოიტანეს.

— პორტამ ცნობები მიიღო, რომ კომიტეტებს განუზრახავთ კონსტანტინეპოლსა და სალონიკში სიკვდილი ჩაიდინონ. საპოლიციო და სამხედრო სასტიკი ბრძანება გამოცხადდა.

— ქალაქს მუსთფა-ფაშაში განიზრახეს მთავრობის ნავთის საწყობის აფეთქება.

ბელგრადი. სარწმუნოების მინისტრი რადიკალი ლაზარევიჩი სამსახურიდან გავიდა, რადგან კონსტიტუციის გასინჯვის შესახებ ვერ შეეთანხმა ამხანაგებს.

გალადი. (სომალილენდი) ინგლისელებმა მშვიდობიანად დაიჭირეს გალადი.

კოპენჰაგენი. იმპერატორი ვილჰელმი როსკილდეს წავიდა და დედოფალ ლუიზას საფლავს გვირგვინი დაადო.

ბერლინი. გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ"-ს ბელგრადიდან ატყობინებენ: როგორც სჩანს, სარწმუნოების მინისტრი ლაზარევიჩი და ფინანსთა მინისტრი მილოვანოვიჩი—ორივე რადიკალები—სამსახურიდან გადადგებიან კონსტიტუციის გადასინჯვამდე. ამბობენ, ეხლანდელის მაგიერ 1869 წლის კონსტიტუცია იქმნება შემოღებული.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

პეტერბურგის ბირჟა 11 მარტს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,72½	
ბირჟის დისკონტი	5—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	98½	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100⅜	გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	95⅜	„
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	450¼	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	345½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	308¼	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90¼	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	91⅜	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	200	„

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბაროისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—8)

ყვირილის თეატრის

ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეატრის შენობის გაკეთება მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა, მასალა ამხანაგობისა იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ჭიათურაში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ბარბარე წერეთლისა. (10—8)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 марта, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)